საქართველოს მთავრობის

დადგენილება №468

2018 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება“.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილება „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;

ბ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 21 თებერვლის №96 დადგენილება „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 17 სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

2. თავისი ამოცანების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს.

3. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

4. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

5. სამინისტროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდებით, პროგრამული ბიუჯეტი, დასრულებული ბალანსი და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში.

6. სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52, საფოსტო ინდექსი: 0146.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

1. სამინისტრო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო

პოლიტიკის გამტარებელი ორგანოა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს. უზრუნველყოფს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფას, მეცნიერების ყველა დარგის განვითარებას და მონაწილეობს სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელებაში. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნების, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

2. კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება:

ა) განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის კონსტიტუციური უფლების განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის შექმნის ხელშეწყობა;

გ) განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე პროცესების კვლევა/შეფასება;

დ) განათლებისა და მეცნიერების სფეროს შემდგომი განვითარების მიმართულებების დაგეგმვა და მისი განვითარების პროგნოზირება;

ე) სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, სახელმწიფო ენის სწავლის, სწავლების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფა მეცნიერების ყველა დარგის მხარდაჭერით;

ვ) სკოლამდელი აღზრდის სტანდარტების დამტკიცება;

ზ) სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება;

თ) ზოგადსაგანმანათლებლო, სკოლისგარეშე და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნება, რეორგანიზაცია-ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მათი წესდებების დამტკიცება და სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ი) კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნება;

კ) ევროპისა და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეების ჰარმონიზაციისა და ინტეგრაციის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

ლ) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;

მ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში ნორმატიული აქტების შესრულების უზრუნველყოფა;

ნ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით:

ნ.ა) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციისა და მაძიებლის პერიოდის გავლის წესის დამტკიცება;

ნ.ბ) მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის დამტკიცება;

ნ.გ) მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტის დამტკიცება;

ნ.დ) მასწავლებლის, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცება;

ნ.ე) საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტის დამტკიცება;

ო) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დადგენა, პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება;

პ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავება/დამტკიცება;

ჟ) რეგულირებადი პროფესიების, რომლებსაც შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციები, აგრეთვე რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მინიჭებისა და განახლებისათვის აუცილებელი პირობებისა და მათი შესრულების წესის საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა ან მათზე სავალდებულო დასკვნის გაცემა;

რ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება/განხორციელება;

ს) პროფესიულ ასოციაციებთან თანამშრომლობა;

ტ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დადგენა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრა;

უ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების სტრუქტურის განსაზღვრა, მათი საშტატო ნუსხებისა და ტიპური დებულების დამტკიცება, ასევე მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

ფ) მასწავლებელთა და მეცნიერთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

ქ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ წინადადებების საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა და მისი განხორციელების უზრუნველყოფა, საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე სამეცნიერო კვლევების დაფინანსება/დამუშავება;

ღ) განათლებისა და მეცნიერების სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების, გამოფენებისა და კონკურსების გამართვაში მონაწილეობა;

ყ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

შ) განათლების სისტემისა და უმაღლესი განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველი ძირითადი დოკუმენტის შემუშავება;

ჩ) საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენა;

ც) საგანმანათლებლო სფეროში არსებული პრიორიტეტებისა და მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი საბიუჯეტო პროგრამებისა და პროექტების შესრულებისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა. ასევე არასაბიუჯეტო პროგრამების/პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ძ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესის დამტკიცება, სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემისა და გადატანის წესის დადგენა, სახელმწიფო სასწავლო გრანტის თანხის რაოდენობის, სოციალური პროგრამით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული

სტუდენტების დაფინანსების რაოდენობისა და პირობების, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთათვის ვაუჩერების გაცემისა და გადატანის წესის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

წ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის წესის დამტკიცება;

ჭ) მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმისწარმოების წესის დამტკიცება;

ხ) საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის, სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტის წესისა და პირობების დადგენა;

ჯ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცება;

ჰ) საჯარო სკოლების ნუმერაციის განხორციელება და მათთვის სახელის მინიჭების წესის დადგენა;

ჰ^{1}) ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტის/პროფესიული დიპლომის ნიმუშის, უმაღლესი განათლების სპეციალობათა ნუსხის, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დანართის ფორმის დამტკიცება;

ჰ^{2}) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით:

ჰ^{2}.ა) საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცება;

ჰ^{2}.ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დამტკიცება;

ჰ^{2}.გ) საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების დამტკიცება;

ჰ^{2}.დ) მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესისა და საფასურის დამტკიცება, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან;

ჰ^{3}) მეცნიერების განვითარების პრიორიტეტების შემუშავება, სახელმწიფო სამეცნიერო პოლიტიკის განხორციელების შემოქმედების თავისუფლებისა და სამეცნიერო სფეროს მართვის თანმიმდევრული დემოკრატიზაციის უზრუნველყოფა, სამეცნიერო სკოლების შენარჩუნებისა და განვითარების, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ხელშეწყობის, აგრეთვე განათლების მეცნიერებასთან ინტეგრირების მიზნით;

ჰ^{4}) სამეცნიერო და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობით, ქართული მეცნიერების განვითარების კონცეფციისა და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება/სრულყოფა;

ჰ^{5}) სამეცნიერო-კვლევითი ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუირების მიზნით სახელმწიფო სახსრების გამოყოფის თაობაზე წინადადებების შემუშავება, ეროვნული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ბაზებისა და ექსპერიმენტული დანადგარების მოვლა-შენახვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება;

ჰ^{6}) ტექნოლოგიური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებისა და მაღალ ტექნოლოგიათა ტრანსფერის სახელმწიფო მხარდაჭერის თაობაზე, აგრეთვე სათანადო პროცესებში სახელმწიფოს პირდაპირ (ინვესტირებით), ან არაპირდაპირ (საგადასახადო შეღავათებით, ინოვაციური ინფრასტრუქტურითა და სხვ.) მონაწილეობის შესახებ სახელმწიფო მართვის სხვა უწყებებთან ერთად წინადადებების მომზადება;

ჰ[7]) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების რეესტრის წარმოების წესის განსაზღვრა, საჯარო სკოლების დირექტორების, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი მოვალეობის შემსრულებელი მოადგილეების, მოვალეობის სხვა შემსრულებლების, სამეურვეო საბჭოს წევრების რეგისტრაციის წესის დადგენა;

ჰ[8]) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით საგანმანათლებლო რესურსების, პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვის ხელშეწყობა;

ჰ[9]) (ამოღებულია - 21.05.2019, №233);

ჰ[10]) ზოგადი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა კვლევის ჩატარება;

ჰ[11]) სკოლის სახელმძღვანელოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენა, მისი შეფასებისა და სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების განხორციელება;

ჰ[12]) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (გარდა განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტისა) ენობრივი სისწორის შემოწმება;

ჰ[13]) მოსწავლის სკოლის სახელმძღვანელოებითა (მოსწავლის წიგნით) და დამხმარე ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემული სკოლის სახელმძღვანელოებისა (მოსწავლის წიგნის) და დამხმარე ლიტერატურის გამოყენების ზოგადი წესისა და მათი მოვლა-პატრონობის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცება;

ჰ[14]) სასკოლო კონკურსის/კონკურსების ჩატარების წესის დამტკიცება;

ჰ[15]) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ჰ[16]) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ჰ[17]) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ჰ[18]) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ჰ[19]) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

3. კულტურის სფეროში სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება:

ა) კულტურის სფეროში ქვეყნის ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება/განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება;

ბ) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა;

გ) კულტურაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა;

დ) თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, ლიტერატურის, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

ე) სახელოვნებო განათლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების/ ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა;

ვ) განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვთა და ახალგაზრდათა, ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა სახელმწიფო მხარდაჭერა;

ზ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესაბამისად, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, სხვა კულტურულ ფასეულობათა გამოვლენის, აღრიცხვის, დაცვის, რეაბილიტაციისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა/კოორდინაცია; ამ მიზნით კულტურული მემკვიდრეობის დარგობრივი პოლიტიკის, მათ შორის, ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება/წარმართვა; შესაბამისი სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების, საკანონმდებლო ინიციატივების, მეთოდოლოგიური გზამკვლევების შემუშავების კოორდინაცია და განხორციელების კონტროლი; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ძეგლების, არქიტექტურულ-სკულპტურული და დეკორატიული კომპოზიციების აგების, განთავსების ან დემონტაჟის შესახებ;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, ლიტერატურული, საგამომცემლო საქმიანობისა და საბიბლიოთეკო სფეროს ხელშეწყობა;

კ) კულტურის სფეროს ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის რეალიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა; კულტურული, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;

ლ) ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის კულტურის როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

მ) კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა; კულტურული დიპლომატიის მხარდაჭერა; შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა;

ნ) კულტურის სფეროში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე სემინარების, კონფერენციების, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების, აუქციონებისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობა;

ო) კულტურის სფეროში დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებისათვის, საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

პ) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

რ) კომპეტენციის ფარგლებში, კულტურის სფეროში მონაცემების შეგროვების, სისტემატიზაციის, დარგობრივი კვლევის ხელშეწყობა.

4. სპორტის სფეროში სამინისტროს ამოცანებს განეკუთვნება:

ა) სპორტის სფეროში ქვეყნის ერთიანი საჯარო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება/განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი, შეფასება და სამინისტროს საქმიანობის „კარგი მმართველობის პრინციპით“ წარმართვა;

ბ) სპორტის მომსახურებასა და პროდუქტზე საზოგადოების ყველა წევრის, რეგიონების/მაღალმთიანი რეგიონების, საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის, სპეციალური საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, უმცირესობების, ქალების, ბავშვების, ახალგაზრდებისა და ქართული დიასპორის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;

გ) სპორტის სფეროების პოპულარიზაცია, მათი მნიშვნელობის, ქვეყნის მდგრად განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში მისი როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

დ) სასპორტო განათლების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება და განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა, სასპორტო განათლების უზრუნველყოფა/ხელშეწყობა, სპორტის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდათა სახელმწიფო მხარდაჭერა;

ე) ქვეყნის მასშტაბით სპორტის სფეროებში ზრდასრულთა განათლებისა და გადამზადების, პროფესიული ცოდნისა და მართვის უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ვ) სპორტის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, სპორტული დიპლომატიის მხარდაჭერა, საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარების, საქართველოს სპორტსმენთა მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრებებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ზ) სპორტის სფეროებში საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე სემინარების, კონფერენციების, ფესტივალების, კონკურსების, შეჯიბრებებისა და სხვა ღონისძიებების ხელშეწყობა;

თ) სპორტის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის რეალიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა, სპორტული ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა;

ი) სპორტის სფეროებში დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების, საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

კ) სპორტის სფეროებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება/განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში, სპორტული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, სპორტის სფეროების შესახებ მონაცემების შეგროვების, კვლევისა და პერიოდულად განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა/შექმნის ხელშეწყობა;

მ) სპორტის სფეროში სხვადასხვა მიმართულების მიხედვით დარგობრივი კვლევების ჩატარება, დარგობრივი პოლიტიკის შემუშავება, განხორციელების ხელშეწყობა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;

ნ) სპორტისა და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნებისთვის, დაცვისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა;

ო) „სპორტი ყველასათვის“, „მაღალი მიღწევების სპორტის“ მიმართულებებისა და პროფესიული სპორტის დარგების განვითარება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სპორტული მოძრაობებისა და ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია;

პ) მასობრივ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებათა ერთიანი კალენდარული გეგმის შემუშავება;

ჟ) სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება;

რ) სპორტული ასოციაციების, კავშირების, საზოგადოებების, ფედერაციებისა და სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა და მათთან თანამშრომლობა, საქართველოს სპორტსმენთა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

ს) სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მაისის დადგენილება №233 – ვებგვერდი, 24.05.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №470 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

მუხლი 3. სამინისტროს ხელმძღვანელობა

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი/მოქმედი დაწესებულებების მართვასა და საქმიანობის კოორდინაციას.

2. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებაზე იმ სფეროებში, რომლებიც სამინისტროს სისტემას/მმართველობას განეკუთვნება;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას, ახორციელებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს (გარდა ამ პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილი გამონაკლისისა), პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების დირექტორებსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოსამსახურეებს;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების დირექტორებს;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს ამ დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის კანდიდატურას;

ზ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს, აგრეთვე წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის ასიგნებებისა და ხარჯების შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში – დამატებითი საბიუჯეტო სახსრების მოთხოვნის თაობაზე;

თ) იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და

პასუხისმგებელია ბიუჯეტის მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ი) პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვასა და გამოყენებაზე;

კ) თავისი მმართველობის სფეროში ქმნის კომისიებს, საბჭოებს – სათათბირო უფლებით;

ლ) კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად, ასევე სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას, გამოსცემს სამართლებრივ აქტებს და პასუხისმგებელია მათ კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

მ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი/მოქმედი იურიდიული პირების დებულებებს/წესდებებს;

ნ) ამტკიცებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმასა და ჟურნალის წარმოების წესს;

ო) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმას;

პ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საჯარო სკოლებში საქმისწარმოების წესს;

ჟ) ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს;

რ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცხადებს კონკურსებს;

ს) ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი/მოქმედი სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის – მოწმობის ფორმასა და მისი გაცემის წესს;

ტ) ამტკიცებს სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის მიღების წესებს და განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს;

უ) საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეთა საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, მათ შორის, საამისოდ აუცილებელი ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ მოსამსახურეთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ფ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელოვანი დავალების წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სამსახურებრივ მოვალეობათა მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებისათვის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წახალისების ამა თუ იმ ფორმის გამოყენების თაობაზე;

ქ) ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ თანამშრომელთათვის სამინისტროს ჯილდოს გაცემის წესს;

ღ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, წყვეტს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთათვის ფულადი ჯილდოს ან/და სახელფასო დანამატის გაცემის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხებს;

ყ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ითანხმებს სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირების ბიუჯეტს (გარდა საგანმანათლებლო დაწესებულებისა), საშტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) და მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, შესაძენი საწვავისა და საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს (გარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა). სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულებით დასასაქმებელი პირების ფუნქციებსა და რაოდენობას. ახორციელებს კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში, იძლევა შესაბამის მითითებებს;

შ) უფლებამოსილია, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები დელეგირების უფლებით გადასცეს თავის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს;

ჩ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. მინისტრის მოადგილეები

1. მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და 6 მოადგილე, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონითა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს, მინისტრის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც დგინდება სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაციის, შეფასებისა და ზედამხედველობის წესი.

4. მინისტრის შვებულებაში, მივლინებაში ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მინისტრის პირველი მოადგილე.

5. მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის შვებულებაში, მივლინებაში ან საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში, ამ დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.

6. მინისტრის პირველი მოადგილე ან ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

7. მინისტრის პირველი მოადგილე ან მოადგილე ამავდროულად შეიძლება იყოს სამინისტროს სისტემაში შემავალი ან/და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული იურიდიული პირის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემა

1. სამინისტროს სისტემა მოიცავს:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს;

ბ) ტერიტორიულ ორგანოებს – საგანმანათლებლო რესურსცენტრებს;

გ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს;

დ) სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ სამეცნიერო-

კვლევით დაწესებულებებს, სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს.

2. სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაცია (დეპარტამენტი);

ბ) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

გ) იურიდიული დეპარტამენტი;

დ) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი;

ე) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

ვ) ეკონომიკური დეპარტამენტი;

ზ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

თ) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;

ი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

კ) სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი;

ლ) პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი;

მ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი;

ნ) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ო) სპორტის განვითარების დეპარტამენტი;

პ) კულტურის დეპარტამენტი.

3. სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:

ა) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

გ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

დ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;

ვ) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

ზ) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;

თ) ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;

ი) განათლების საერთაშორისო ცენტრი;

კ) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

ლ) საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი;

მ) პროფესიული სახელმწიფო თეატრები;

ნ) მუსიკალური ცენტრები, კამერული ორკესტრი, ქალთა კამერული გუნდი, ფოლკლორული ანსამბლები, ფოლკლორის ცენტრი;

ო) მუზეუმები;

პ) სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ჟ) შემოქმედებითი საქართველო;

[ჟ) კულტურის ეროვნული ფონდი); ***(ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან)]***

რ) (ამოღებულია - 05.08.2019, №361);

ს) მწერალთა სახლი;

ტ) გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი;

უ) ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი;

ფ) ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრი;

ქ) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ღ) (ამოღებულია- 27.09.2019, №470);

ყ) საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი;

შ) საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.

4. სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი/მოქმედი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები არიან:

ა) შპს „სპორტმშენსერვისი“;

ა[1]) შპს „ბლექსი არენა ჯორჯია;“

ბ) ა(ა)იპ – ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი;

გ) ა(ა)იპ – თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №479 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 აპრილის დადგენილება №201 - ვებგვერდი, 01.05.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №361 - ვებგვერდი, 05.08.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აგვისტოს დადგენილება №362 - ვებგვერდი, 05.08.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №470 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება №500 - ვებგვერდი, 28.10.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის დადგენილება №562 – ვებგვერდი, 21.11.2019წ.

მუხლი 6. სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულების ძირითადი კომპეტენცია

1. ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) კომპეტენციაა:

ა) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

ბ) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

გ) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

დ) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

ე) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ზოგადი განათლების განვითარების სფეროში განსახორციელებელი საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

ვ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების საქმიანობის კოორდინაცია;

ზ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისგან ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება/დამუშავება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება;

თ) სამინისტროში დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება, საქმისწარმოების საკითხების შესახებ ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა;

ი) სამინისტროს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქმისწარმოების ერთიანი წესების დამკვიდრება;

კ) მინისტრის ბრძანებათა რეესტრის წარმოება, კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;

მ) საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და გადაცემა არქივისათვის, არსებული წესის შესაბამისად;

ნ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის პრიორიტეტებზე დაყრდნობით სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის, კვლევისა და განვითარების მხარდამჭერი პროგრამების ხელშეწყობა, აგრეთვე ქართულის, როგორც მეორე და უცხო ენის სწავლებისა და პოპულარიზაციის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელება, დაინტერესებულ ჯგუფებთან კავშირი და, შემსწავლელთა ინტერესების შესაბამისად, პროგრამების ახალი სასწავლო მასალებით შევსება;

ო) მკაცრი აღრიცხვის ფორმების, გარდა განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტისა, ენობრივი სისწორის შემოწმება;

პ) ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ჟ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

რ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ს) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ტ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

უ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ფ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ქ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ღ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

ყ) (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

შ) ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ჩ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება. ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის მომზადების უზრუნველყოფა.

2. (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

3. იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) კანონშემოქმედებით სფეროში საქართველოს პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია და საპარლამენტო მდივნისათვის „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

დ) სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

ე) სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავების აღრიცხვა და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა;

ვ) სამინისტროში მომზადებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება და სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;

ზ) სამინისტროს მიერ სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა;

თ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილისა და მინისტრის მოადგილის მიერ სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული სხვა სამართლებრივი ხასიათის ამოცანების შესრულება, რომლებიც არ შედის სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციაში და მიეკუთვნება სამინისტროს მმართველობის სფეროს;

ი) სამინისტროს სისტემაში შემავალი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, აგრეთვე სხვა უწყებებიდან შემოსული ნორმატიული აქტების პროექტების, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების შესახებ სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

კ) (ამოღებულია - 12.12.2018, №579);

ლ) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო

დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

მ) ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, სამინისტროს სისტემაში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის მიზნით რეკომენდაციებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება;

ნ) სამინისტროს შინაგანაწესის შემუშავება და მისი დაცვის უზრუნველყოფა;

ო) სამინისტროსა და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების საშტატო ნუსხების პროექტების შედგენა და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

პ) სამუშაოს ანალიზის საფუძველზე, თითოეული თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა, თანამდებობების აღწერების შედგენის პროცესის კოორდინირება;

ჟ) პერსონალის შერჩევა, კონკურსების ორგანიზება, ასევე სამინისტროს სისტემის შესაბამის მოსამსახურეთა დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების, გათავისუფლების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებათა გამოყენების, შვებულებისა და მივლინებების შესახებ ბრძანებების პროექტების მომზადება და შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებების გაფორმება;

რ) სამინისტროში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა, სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და სტაჟირების პროცესის ზედამხედველობა;

ს) თანამშრომელთა მონაცემთა ბაზის შექმნა და ადმინისტრირება, ასევე სამინისტროს სისტემის შესაბამის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა, წარმოება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების წარდგენის/აღრიცხვის კონტროლი;

ტ) სამინისტროს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების თანამედროვე სისტემის დანერგვა და შეფასების პროცესის მონიტორინგი, ასევე სამინისტროს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დაგეგმვა/ორგანიზება და ამ მიზნით შესაბამისი რესურსების მოძიება;

უ) იურიდიული დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

4. სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება ყველა სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინებით;

ბ) სამინისტროსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და უწყებებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კოორდინაციის სისტემის დანერგვა და შესაბამისი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან ურთიერთობა და სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება;

დ) ღონისძიებების, პრესკონფერენციების, ბრიფინგების, პრეზენტაციებისა და სხვა საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

ე) სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების, პროექტების, სიახლეების, მიღწევების, საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, პრესრელიზებისა და სხვა საინფორმაციო მასალების მომზადება;

ვ) კამპანიური ხასიათის ცალკეული პროექტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;

ზ) მასმედიის ანალიზი, ინფორმაციული ნაკადების მუდმივი მონიტორინგი და რეკომენდაციების მომზადება;

თ) გამჭვირვალობისა და ღიაობის უზრუნველსაყოფად სამინისტროს საქმიანობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება;

ი) სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

კ) მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს თანამშრომლების ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების ორგანიზება, აგრეთვე მინისტრისა და მინისტრის მოადგილეებისათვის უცხო ქვეყნის ოფიციალური დელეგაციების ვიზიტისას საპროტოკოლო ღონისძიებების გატარება;

ლ) საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებების პროტოკოლის სამსახურებთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობა;

მ) სამინისტროს ხელმძღვანელობით, სხვადასხვა სახის ფორუმის, სემინარის, კონფერენციისა და სხვა ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზება;

ნ)საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მისი მოადგილეების დიპლომატიური პასპორტებით უზრუნველყოფა, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული კვოტის ფარგლებში სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი პასპორტებით უზრუნველყოფა.

5. შიდა აუდიტის დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება;

გ) სამინისტროს საქმიანობის ეკონომიკურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

დ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

ე) სამინისტროს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ვ) სისტემური აუდიტის, შესაბამისობის აუდიტის, ეფექტიანობის აუდიტის, ფინანსური აუდიტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელება და მონიტორინგი;

ზ) საქმიანობის პროცესში მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოთხოვნა/მიღება, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), ადგილზე გაცნობისათვის პირობების შექმნის მოთხოვნა, დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენის მოთხოვნა, დოკუმენტის ასლების მიღება, შესაბამისი ინფორმაციის მიღების მიზნით სამინისტროს სისტემის ნებისმიერი თანამშრომლის მოწვევა. აღნიშნულ კომპეტენციასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა სამინისტროს სისტემის თანამშრომლებისთვის;

თ) დეპარტამენტის მიერ შედგენილ ანგარიშში დაფიქსირებულ რეკომენდაციებზე შემოწმებული ობიექტის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ სრული ინფორმაციის შესაბამის ვადებში წარდგენის კონტროლი;

ი) დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების (მათ შორის, ელექტრონული) შეგროვება, დამუშავება და შესწავლა-ანალიზი;

კ) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს სამინისტროს ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს;

ლ) შიდა აუდიტის დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

მ) სამინისტროს სისტემაში სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და აღმოჩენა, მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

ნ) სამინისტროს სისტემაში სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვლენის მიზნით ინსპექტირების ჩატარება, ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

ო) სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და სამინისტროს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების თაობაზე ინფორმაციის შემცველი განცხადებებისა და წერილების შესწავლის შედეგად დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

პ) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმების შედეგად გამოვლენილ ფაქტებზე სამინისტროსათვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დასკვნის მომზადება და მინისტრისათვის წარდგენა;

ჟ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;

რ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება/მონიტორინგი;

ს) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მისი თანამშრომლების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესახებ წინადადებების მინისტრისათვის წარდგენა;

ტ) სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვის კონტროლი და სამსახურებრივი ინსპექტირების განხორციელება;

უ) სამინისტროს მოსამსახურეების ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება;

ფ) სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

ქ) საქმიანობის პროცესში მისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის, განმარტებისა და დოკუმენტის მოთხოვნა/მიღება, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), ადგილზე გაცნობისათვის პირობების შექმნის მოთხოვნა, დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენის მოთხოვნა, დოკუმენტის ასლების მიღება, სამინისტროს სისტემის ნებისმიერი თანამშრომლის შესაბამისი ინფორმაციის ან განმარტების მიღების მიზნით გამოძახება.

6. ეკონომიკური დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის კოორდინაცია და მართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;

ბ) სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო პროცესის მართვის, კოორდინაციისა და კონტროლის უზრუნველყოფა;

გ) სამინისტროში ფინანსური რეგულაციების სწორად და სრულად დანერგვის ხელშეწყობა;

დ) ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობით, სამინისტროს ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა;

ე) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის კოორდინატორის მხარდაჭერა ფინანსური მართვისა და კონტროლის გეგმის მომზადების, მისი დანერგვის, განვითარებისა და განხორციელების მონიტორინგის პროცესში;

ვ) სამინისტროს შესყიდვების დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება;

ზ) სამინისტროს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ-ტექნიკურ ფასეულობათა აღრიცხვა, ანგარიშგება. სამეურნეო საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მართვა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე. ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით მარაგებისა და ნაკადების აღრიცხვა, ანგარიშგება და კონტროლი;

ი) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მოსამსახურეთა სხვადასხვა გასაცემლის, ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო მოვლენის შედეგად ანგარიშსწორება, აღრიცხვა და კონტროლი;

კ) ოპერაციული ინფორმაციის, ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშების დროულად შედგენა და შესაბამის უწყებებში წარდგენაზე კონტროლი;

ლ) სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (ბალანსის) შედგენა და დანიშნულებისამებრ წარდგენის უზრუნველყოფა;

მ) ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით და აღრიცხვაში ასახვა;

ნ) სამინისტროსათვის სხვადასხვა ფორმით მიღებული (გაცემული) და/ან სამინისტროს სისტემიდან მიღებული (გაცემული) მოძრავი აქტივების აღრიცხვა, დასაწყობება და მოთხოვნილების შესაბამისად გაცემაზე/განაწილებაზე კონტროლი; სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ო) სამინისტროს ბალანსზე რიცხულ შენობა-ნაგებობათა, ასევე სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე კონტროლი;

პ) სამინისტროს სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და იურიდიული პირებისათვის უძრავი ქონების აღრიცხვისა და ელექტრონული რეესტრების წარმოების უზრუნველყოფა;

ჟ) სამინისტროს სისტემაში შემავალი ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და იურიდიული პირებისათვის საჭირო უძრავ-მოძრავი ქონების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით სარგებლობაში გადაცემასა და განკარგვასთან, ასევე ქონებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა-მომზადების უზრუნველყოფა;

რ) ეკონომიკური დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

7. (ამოღებულია - 24.10.2019, №500);

8. სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში/დარგებში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვა, კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, მონიტორინგი და შეფასება;

ბ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების/დარგების განვითარების ხელშეწყობის მიზნით კვლევითი საქმიანობის ინიციირება/წარმართვა/კოორდინაცია;

გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში/დარგებში ეროვნულ დონეზე არსებული სიტუაციის, საერთაშორისო სტანდარტებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და რეკომენდაციების, ინსტრუქციებისა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება;

დ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების/დარგების მიმართულებით სამოქმედო გეგმის შემუშავების კოორდინაცია და გეგმის შესრულების კონტროლი/მონიტორინგი;

ე) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, მის სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეთოდოლოგიური და საკონსულტაციო დახმარება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების მიმართულებით შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით;

ვ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში/დარგებში ინკლუზიური განვითარების (საზოგადოების მარგინალიზებული/მოწყვლადი და ნაკლებად დაცული ჯგუფების ჩართულობის) ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლებისა და ინკლუზიური განვითარების სხვა პროგრამების/პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაცია;

ზ) სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, მის სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი იურიდიული პირების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების/დარგების მიმართულებით შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული ღონისძიებების მიმდინარეობისა და შესრულების მონიტორინგი;

თ) სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

ი) სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხელშეწყობა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროებში სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგში;

კ) უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაცია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების/დარგების მიმართულებით სახელმწიფო სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით;

ლ) საქართველოს მთავრობის, უწყებათაშორისი საბჭოების/ კომისიებისა და სხვა უწყებათაშორისი ორგანოების მიერ ინიციირებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია და ანგარიშების მომზადება;

მ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონსულტირება და მხარდაჭერა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროების/დარგების მიმართულებით საქმიანობის განხორციელების/ კოორდინაციის მიზნით;

ნ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სტრატეგიების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და შედეგების გამჭვირვალობისა და ინკლუზიური განვითარების უზრუნველყოფა.

9. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სამინისტროს საერთაშორისო პოლიტიკის განსაზღვრა და სამინისტროს უწყებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაცია;

ბ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესების კოორდინაცია, მათ შორის, ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმებითა და ასოციირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში;

გ) საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში;

დ) სამინისტროს საერთაშორისო დოკუმენტების (შეთანხმებების, მემორანდუმების, თანამშრომლობის პროგრამებისა და სხვ.) მომზადება და შესაბამისი პროცედურების წარმართვა და საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია;

ე) უცხოეთში საქართველოს საელჩოებსა და საქართველოში აკრედიტებულ საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობა;

ვ) საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინაცია, განხორციელება, მონიტორინგი, პოპულარიზაციის ხელშეწყობა და საზღვარგარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში სამინისტროს მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა;

ზ) პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება, კონკურსების ადმინისტრირება და შესრულების მონიტორინგი;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ი) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

10. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) წინადადებების მომზადება სკოლამდელი და ზოგადი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით;

ბ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის შემუშავება/განვითარება, პილოტირება და მათი დანერგვის ხელშეწყობა;

გ) ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების პროგრამის შემუშავება/განვითარება და პილოტირება და მისი დანერგვის ხელშეწყობა;

დ) ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა;

ე) სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა კვლევის ჩატარება;

ვ) საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში ტერმინებისა და ცნებების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ზ) თვითმმართველი ქალაქებისა და სათემო მუნიციპალიტეტების, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, გამომცემლობების, ავტორის/ავტორთა ჯგუფების, საგანმანათლებლო ასოციაციებისა და განათლების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კონსულტირება ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი და ზოგადი განათლების ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებზე, ასევე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროგრამების თაობაზე;

თ) ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშესაწყობად წინადადებების წარდგენა სახელმძღვანელოს/სახელმძღვანელოს სერიის გრიფირების გამოცხადების, მასთან დაკავშირებული პირობების, შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმების, ვადებისა და სამოქმედო გეგმის შესახებ;

ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირების შეფასების შინაარსობრივი კრიტერიუმების განსაზღვრა;

კ) სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის სავალდებულო ზოგადი განათლების მიღების უფლებისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა;

ლ) რესურსსკოლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა და ამავე სკოლების მიერ განხორციელებული პანსიონური მომსახურების კოორდინაცია და ზედამხედველობა;

მ) სკოლამდელი და ზოგადი განათლების დამხმარე მეთოდოლოგიური და სასწავლო რესურსების შემუშავება/განვითარება და გავრცელებისა და დანერგვის ხელშეწყობა;

ნ) სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარებაზე პასუხისმგებელ სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;

ო) ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრირების ხელშემწყობი საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება, მათ შორის, ბილინგვური განათლების კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;

პ) არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და ამ მიზნით სხვადასხვა პროგრამის/პროექტის ინიციირება და განხორციელება;

ჟ) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

რ) სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

11. პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) პროფესიული განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება;

ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, მონიტორინგი და შეფასება;

გ) პროფესიული განათლების მართვის სფეროში ეროვნული და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

დ) პროფესიული განათლების განვითარების მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება, პროექტების შეფასებაში მონაწილეობა და მათი განხორციელების კონტროლი;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებში მონაწილეობა;

ვ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

ზ) პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

თ) პროფესიული განათლების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების მიზნით;

ი) პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფაში მონაწილეობა;

კ) პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო სათათბირო ორგანოების ინსტიტუციური მხარდაჭერა;

ლ) პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა;

მ) დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

ნ) პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

12. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება;

ბ) უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტების გაცემის პროცესის ორგანიზება;

გ) სისტემის სრულყოფის მიზნით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების შესახებ წინადადებათა მომზადება;

დ) უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მობილურობისა და სხვა ორგანიზაციულ საკითხთა უზრუნველყოფა;

ე) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ინსტიტუციური რეგულირება;

ვ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დაფინანსების შესახებ წინადადებების მომზადება;

ზ) ახალგაზრდობის მეცნიერების სფეროში ჩაბმის მიზნით უმაღლესი განათლების სისტემის ორგანიზებისა და განვითარების შესახებ წინადადებების მომზადება;

თ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებსა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;

ი) სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციისა და მდგრადი განვითარების გეგმების შემუშავება;

კ) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების/ხელშეკრულებების შემუშავება;

ლ) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და მასში შემავალი ინსტიტუტების უმაღლესი განათლების ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებული საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო პროექტების/ინიციატივების დაგეგმვა, შესრულება და კოორდინაცია, აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა, კოორდინაცია და წლიური ანგარიშების მომზადება სამინისტროს კომპეტენტურ სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ასევე შესაბამის საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა;

მ) საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევა და ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობისა და შესაბამისობის დადგენის მიზნით;

ნ) საერთაშორისო დონორების, მათ შორის, ევროკავშირის მხარდაჭერით უმაღლესი განათლების სფეროში დაგეგმილი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;

ო) უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

13. (ამოღებულია- 27.09.2019, №470).

14. სპორტის განვითარების დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, დახვეწა, ასევე შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება, სპორტის სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, დარგობრივი პოლიტიკისა და სტრატეგიული მიმართულებების შემუშავება, დაგეგმვა, განხორციელება/ განხორციელების ხელშეწყობა, კოორდინაცია და მონიტორინგი, სპორტის განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის ინიციატივების შესახებ პროგრამების/ქვეპროგრამების მომზადება და მათი იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

ბ) მაღალი მიღწევების სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საქმიანობის კოორდინაცია, სპორტული ორგანიზაციებისათვის დამტკიცებული პროგრამების მიხედვით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენისა და დაფინანსების კოორდინაცია, სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების სისტემის გაუმჯობესებისა და დახვეწის კოორდინაცია, ასევე შესაბამისი საბჭოს სხდომებისთვის სპორტული ორგანიზაციებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის დამუშავება და მომზადება;

გ) საქართველოში და ქვეყნის გარეთ გასამართი სპორტული ღონისძიებების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშების მომზადება, საქართველოში გასამართი საერთაშორისო ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება, ასევე სპორტული ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი ღონისძიებების კალენდარული გეგმის განხილვა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიღწეული სპორტული შედეგების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;

დ) სპორტის სფეროში მოღვაწეთა სოციალური დახმარების/გრანტების, სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენისა და მათთვის სპორტის საპატიო წოდებების მინიჭების უზრუნველსაყოფად, სპორტსმენთა, მწვრთნელთა, ნაკრები გუნდების საექიმო და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დაწესებული ფულადი პრიზებისა და სტიპენდიების გასაცემად და აგრეთვე მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის, ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით შესაბამისი საორგანიზაციო/ტექნიკური სახის საქმიანობისა და სათანადო ღონისძიებების განხორციელება;

ე) მასობრივი სპორტული ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და დანერგვის პროცესის კოორდინაცია, მასობრივი სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მონიტორინგი, მასშტაბური მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინაცია და მათ ორგანიზებაში ჩართულობა, სხვადასხვა სამინისტროს მიერ ორგანიზებული მასობრივი სპორტული ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება, ასევე მასობრივი სპორტისა და სპორტული ტურიზმის

სტრატეგიების შემუშავებისა და დანერგვის პროცესის კოორდინაცია;

ვ) „სპორტი ყველასათვის“ მიმართულების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირებს შორის სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისა და მათი სპორტში ჩაბმის ხელშეწყობა, თამბაქოს, ალკოჰოლისა და სხვა მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;

ზ) სპორტული ორგანიზაციებისთვის შესაბამისი შუამდგომლობების მომზადება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობა და ერთიანი სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია, სპორტის მიმართულებით სამინისტროს კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება;

თ) დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაბამის უწყებათაშორის და საერთაშორისო პლატფორმებში მონაწილეობის მიღება, სპორტის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების საქართველოს პრაქტიკასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და სპორტში ძირითად დარღვევებთან ბრძოლის კოორდინაცია, ასევე სპორტის სფეროსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და მათთან მიმართებით დასკვნებისა და წინადადებების მომზადება;

ი) სპორტის განვითარების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება და სტატისტიკური მეთოდოლოგიის განსაზღვრა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში სპორტის კომპონენტის ნაწილზე სამუშაო პროცესებში მონაწილეობის მიღება, სპორტის სხვადასხვა სფეროს კვლევების განხორციელება, ასევე სპორტის მართვის სახელმწიფო მოდელთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილებასა და ადგილობრივი გარემოს კვლევებზე დაყრდნობით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

კ) სასპორტო განათლების, ფიზიკური აღზრდისა და მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების კოორდინაცია, სპორტის სფეროს კადრებით უზრუნველყოფის პროცესის კოორდინაცია, შრომის ბაზრის კვლევა და შესაბამისი ანგარიშების მომზადება, კომპეტენციის ფარგლებში, სპორტული ინფრასტრუქტურის გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავებისა და შესაბამისი ეროვნული სტანდარტების დადგენის პროცესებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ არსებული მონაცემების სისტემატიზაციის კოორდინაცია;

ლ) შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების გზების განსაზღვრა, კომპეტენციის ფარგლებში, შესრულების მონიტორინგი, რეალიზების შედეგების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება, განაცხადების განხილვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, პროგრამების/ქვეპროგრამების შესაბამისად და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, კონკურსების გამოცხადება, განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ან/და კონკურსის შედეგების სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

მ) სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი შესაბამისი იურიდიული პირების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და პერიოდული ანგარიშის მომზადება მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ; კომპეტენციის ფარგლებში, მეთოდური დახმარება და შესაბამისი სახელმძღვანელო რეკომენდაციების/ინსტრუქციების შემუშავება, მათი სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და პერიოდული ანგარიშგების კოორდინაცია და მონიტორინგი; რეკომენდაციების შემუშავება სისტემური განვითარებისათვის, მათი საქმიანობის ზოგადი კოორდინაცია და მონიტორინგი;

ნ) სპორტის განვითარების დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

15. კულტურის დეპარტამენტის კომპეტენციაა:

ა) კულტურის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელება/კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ბ) კულტურის სფეროში საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების განხორციელების კოორდინაცია და სფეროში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, კულტურის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების ხელშეწყობა და კოორდინაცია;

გ) კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა, დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ სფეროებში/დარგებში მონაცემების შეგროვება, კვლევების დაგეგმვა და არსებული ვითარების ანალიზი; თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების, ლიტერატურის, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგებისათვის, სახელოვნებო განათლების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნების, დაცვის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით;

დ) შემოქმედებითი ინდუსტრიების, ასევე კულტურული მარშრუტებისა და კულტურული ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ტრანსნაციონალურ მარშრუტებში საქართველოს ინტეგრირების მიზნით ახალი ინიციატივებისა და ინოვაციური პროექტების შექმნის ხელშეწყობა;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) გამოვლენის, აღრიცხვის, დაცვის, მოვლა-პატრონობისა და მართვის პოლიტიკის განსაზღვრა და შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამშრომლობა საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, აღრიცხვის, დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფის მიზნით; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებებზე დარგობრივი ზედამხედველობა;

ვ) ერთიანი სამუზეუმო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; საქართველოს მუზეუმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება; ქვეყნის მასშტაბით სამუზეუმო საქმიანობის რეგულირება, სამუზეუმო კოლექციების დაცვასა და პოპულარიზაციაზე ზრუნვა, საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის განვითარება-ადმინისტრირება, მუზეუმებში დაცული ფასეულობების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ხელშეწყობა;

ზ) ეროვნულ უმცირესობათა, სპეციალური საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ქალთა, ბავშვებისა და ახალგაზრდობის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; რეგიონებში კულტურული ცხოვრების სტიმულირება და ხელშეწყობა, პროფესიული წრეებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერით;

თ) სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებების, კულტურის დღეების, გამოფენების, კონცერტების, ფესტივალების, სახელმწიფო ცერემონიების, საგასტროლო და სხვა გასვლითი აქტივობების ხელშეწყობა მნიშვნელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში ქართველი ხელოვანების მონაწილეობის მხარდაჭერა; კულტურის სფეროში მოღვაწეთა სოციალური დახმარებების/გრანტების გაცემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მონიტორინგი, ხოლო სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენისა და მათთვის საპატიო წოდებების მინიჭების თაობაზე საკითხების ინიციირება;

ი) დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული დარგების/სფეროების მართვისა და განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების გზების განსაზღვრა; პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების სათანადო ღონისძიებების (მ.შ., კონკურსების) კოორდინაცია, რეალიზების შედეგების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება;

კ) კულტურის სფეროში ინფორმაციის სისტემატიზაციის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მექანიზმების შემუშავების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამების/ქვეპროგრამების, ასევე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისა და განხორციელების/დანერგვის ხელშეწყობა;

ლ) დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებული სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი შესაბამისი იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი, სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალი შესაბამისი იურიდიული პირების მეთოდური დახმარება და მათი საქმიანობის გაუმჯობესების, ასევე სისტემური განვითარების მიზნით შესაბამისი სახელმძღვანელო რეკომენდაციების/ინსტრუქციების შემუშავება;

მ) არაფორმალური, პროფესიული, ზოგადი და უმაღლესი განათლების სახელმწიფო სტრატეგიებში, სამოქმედო გეგმებსა და პროგრამებში/ქვეპროგრამებში თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, კულტურის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალ იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

ნ) კულტურის სფეროში სამინისტროსა და დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული სხვა საქმიანობის განხორციელება და ამ მიზნით სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და სამინისტროს სისტემაში/მმართველობის სფეროში შემავალ იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №479 - ვებგვერდი, 13.12.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 აპრილის დადგენილება №201 - ვებგვერდი, 01.05.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 სექტემბრის დადგენილება №470 – ვებგვერდი, 01.10.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება №500 - ვებგვერდი, 28.10.2019წ.

მუხლი 7. სამინისტროს ქონება

სამინისტროს ქონებას შეადგენს სახელმწიფოს მიერ მის სარგებლობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები და ფინანსური რესურსები.

მუხლი 8. სამინისტროს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

სამინისტროს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.